მოსკოვის საპატრიარქო

რუსეთის ეკლესიის სასულიერო პირებმა გეთსამანიაში ღვთისმშობლის საფლავთან ლიტურგია აღასრულეს

2021 წლის 24 აგვისტოს, იერუსალიმში რუსული სასულიერო მისიის ხელმძღვანელმა არქიმანდრიტმა ალექსანდრემ (ელისოვი) გეთსამანიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მღვიმის ტაძარში, რომელიც ღვთისმშობლის საფლავის ადგილზე არის აგებული, საღვთო ლიტურგია აღასრულა.

მას თანამსახურებდნენ მისიის მეტოქის მეკლიტე თელ-ავივსა და იაფოში დეკანოზი იგორ პჩელნიცევი, მისიის თანამშრომლები იღუმენი ნიკონი (გოლოვკო) და მღვდელმონაზონი დომეტიანე (მარქარიანი), აინ კერემის გორენის დედათა მონასტრის კლირიკოსი მღვდელმონაზონი ინოკენტი (ბესპალოვი), თათარისტანის სამიტროპოლიტოს კლირიკოსი მღვდელმონაზონი პავლე (კუზნეცოვი), იერუსალიმის საპატრიარქოს სასულიერო პირები.

ღვთისმსახურება შესრულდა ბერძნულ და საეკლესიო სლავურ ენებზე.

ლიტურგიაზე ლოცულობდნენ გეთსამანიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მონასტრის წინამძღვარი ავილონის მთავარეპისკოპოსი დოროთე, აინ კერემის გორენის დედათა მონასტრის იღუმენია ეკატერინე (ჩერნიშევა) დებთან ერთად, წმინდა საფლავის სამონაზვნო დასის საძმო, მლოცველები იერუსალიმელი რუსულენოვანი მართლმადიდებელი ქრისტიანების რიგებიდან.

საღვთისმსახურო საგალობლები შეასრულეს წმინდა საფლავის მონასტრისა ძმებისა და გორენის მონასტრის დების მგალობელთა გუნდებმა.

ლიტურგიის დასრულების შემდეგ მთავარეპესკოპოსმა დოროთემ რუსი მლოცველები დალოცა და თბილად მიესალმა რუსული სასულიერო მისიის სასულიერო პირებს, რომლებიც წმინდა მიწაზე აღასრულებენ მსახურებას.

უძველესი ტრადიციის მიხედვით, რომელიც დადგენილია იერუსალიმში რუსული სასულიერო მისიის დაარსებისთანავე, ღვთისმშობლის მიძინების წინადღესასწაულზე მისიის ხელმძღვნელი და რუსი სასულიერო პირები იერუსალიმის მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოებასთან ერთად, გეთსამანიაში ღვთისმშობლის საფლავზე საღვთო ლიტურგიას აღასრულებენ.

იერუსალიმში რუსული სასულიერო მისიის პრეს-სამსახურის საიტი /

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87910/